სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №328

ქ.ბათუმი 19 აგვისტო 2016 წელი

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში ,,დამკვეთი'') წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის - მამია ბერძენიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „აჭარა-ტური" (ს/კ 245549027) (შემდგომში „შემსრულებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი თავართქილაძის სახით, („სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის ,,ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 55100000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთ ამიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა - შემსყიდველს, ხოლო ერთი - მიმწოდებელს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნითშ ესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „დამკვეთი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „შემსრულებელი" – პირი/ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსრულებელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტუმრებისათვის, კერძოდ ჟურნალისტებისათვის ყაზახეთის რესპუბლიკიდან (სულ 5 (ხუთი) პიროვნება) 2016 წლის 21-25 აგვისტოს (4 ღამე) უნდა უზრუნველყოს სასტუმრო მომსახურება, შემდგომში მომსახურება.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 5384 (ხუთიათას სამასოთხმოცდაოთხი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

4.2. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ოდენობით, შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (სასაქონლო ზედნადების) ან/და მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

4.3. შემსრულებლის ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (სასაქონლო ზედნადების) გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ დამკვეთისა და შემსრულებელის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (სასაქონლო ზედნადების) გაფორმებით.

5.2. დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირებია:

ა) თამარ მგელაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების უფროსი;

ბ) მიხეილ კოპლატაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.

6. მომსახურების გაწევის ადგილი

6.1. მომსახურების გაწევა მოხდება მისამართზე:

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. დამკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს გაუწიოს სათანადო ხარისხის მომსახურება.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. დამკვეთი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და დამკვეთის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) დამკვეთის მხრიდან განახორციელებს მიხეილ კოპლატაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ისოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები დამკვეთისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	*შპს „აჭარა-ტური“*
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86	*მისამართი:* ქ,ბათუმი გ.ბრწყინვალეს N 122
	საიდენტიფიკაციო კოდი: 245549027
	სს „თიბისი ბანკი“
	კოდი: TBCBGE 22
საიდენტიფიკაციო კოდი:245427809	*ანგარიში № GE36TB1042236020100002*
დეპარტამენტის თავმჯდომარე	*დირექტორი*
______________/მამია ბერიძე/ბ.ა.	______________/ირაკლი თავართქილაძე/ ბ.ა.